

გათაავების დებულებიდან...

● უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობს 12 გუნდი: „უალგირისი“ (კაუნასი), ცსკა (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი), ვეფ (რიგა), ასკ (კიევი), „სტროიტელი“ (კიევი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), „დინამო“ (მოსკოვი), რტი (მინსკი), „კალევი“ (ტალინი).

● ჩემპიონატი რამდენიმე ეტაპად მოეწყობა. პირველი ეტაპი 12 გუნდი ურთიერთშორის შეხვედრებს 2 წრედ, ტურებზე ჩაატარებს (22-22 მატჩი). მეორე ეტაპი 8 უძლიერესი კოლექტივი 2 წრედ, ტურებზე იასპარეზებს ერთმანეთში, პირველი ეტაპის შედეგების გათვალისწინებით. IX-XIII ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ოთხ წრედ, ტურებზე, წინა ეტაპის შედეგები აქაც მხედველობაში მიიღება.

● მესამე ეტაპი დაიწყება მეოთხედღიან ლიგის მატჩებით. პირველ ადგილზე მყოფი გუნდი შეხვედრება მეორე ადგილზე გასულ კოლექტივს, მეორე — მეოთხედ, მესამე — მეექვსედ, მეოთხე — მეხუთედ. მერე ნახევარფინალები გაიმართება (ორიორი მატჩი), სადაც ერთმანეთს შეხვედრიან: პირველ მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული — მეორე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული, მესამე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული — მეოთხე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული. ანალოგიური პრიციპით ითამაშებენ მეოთხედღიან ლიგებში დამარცხებული კოლექტივები.

● მერე დაიწყება სუპერფინალები, რომელიც გამოავლენს პირველ რეა ადგილზე გასულ კოლექტივებს.

● ჩემპიონატი რამდენიმე ეტაპად მოეწყობა. პირველი ეტაპი 12 გუნდი ურთიერთშორის შეხვედრებს 2 წრედ, ტურებზე ჩაატარებს (22-22 მატჩი). მეორე ეტაპი 8 უძლიერესი კოლექტივი 2 წრედ, ტურებზე იასპარეზებს ერთმანეთში, პირველი ეტაპის შედეგების გათვალისწინებით. IX-XIII ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ოთხ წრედ, ტურებზე, წინა ეტაპის შედეგები აქაც მხედველობაში მიიღება.

● მესამე ეტაპი დაიწყება მეოთხედღიან ლიგის მატჩებით. პირველ ადგილზე მყოფი გუნდი შეხვედრება მეორე ადგილზე გასულ კოლექტივს, მეორე — მეოთხედ, მესამე — მეექვსედ, მეოთხე — მეხუთედ. მერე ნახევარფინალები გაიმართება (ორიორი მატჩი), სადაც ერთმანეთს შეხვედრიან: პირველ მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული — მეორე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული, მესამე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული — მეოთხე მეოთხედღიან ლიგის გამარჯვებული. ანალოგიური პრიციპით ითამაშებენ მეოთხედღიან ლიგებში დამარცხებული კოლექტივები.

● მერე დაიწყება სუპერფინალები, რომელიც გამოავლენს პირველ რეა ადგილზე გასულ კოლექტივებს.

რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის

რესპუბლიკები და ქალაქები	I	II	III	სულ
მოსკოვი	31	17	15	63
ლენინგრადი	5	10	6	21
საქართველო	6	7	6	19
უკრაინა	1	9	9	19
ლიტვა	5	5	8	18
ვატკია	4	2	5	11
ესტონეთი	1	2	2	5
რუსეთი	—	1	—	1



სტარტზეა სსრ კავშირის 55-ე უმაღლესი ჩემპიონატი კალათბურთულში

სად, როგორ ქალაქში


55-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველ ტურს სამი ქალაქი უმასპინძლებს. შეხვედრები ჩატარდება 24-26 სექტემბერს. თბილისში იასპარეზებენ: ცსკა, „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მოსკოვი); მინსკში: „უალგირისი“ (კაუნასი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), რტი (მინსკი), ვეფ (რიგა); ლენინგრადში: „სპარტაკი“ (ლენინგრადი), ასკ (კიევი), „სტროიტელი“ (კიევი), „კალევი“ (ტალინი).

გათავაზობთ ამ შეხვედრათა კალენდარს:

თბილისის ჯგუფი. 24 სექტემბერი. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი).
25 სექტემბერი. ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).
26 სექტემბერი. ცსკა — „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი).

მინსკის ჯგუფი. 24 სექტემბერი. „უალგირისი“ (კაუნასი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი), ვეფ (რიგა) — რტი (მინსკი).
25 სექტემბერი. „უალგირისი“ (კაუნასი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი), რტი (მინსკი) — ვეფ (რიგა).
26 სექტემბერი. „სტატიბა“ (ვილნიუსი) — რტი (მინსკი), ვეფ (რიგა) — „სტატიბა“ (ვილნიუსი).

ლენინგრადის ჯგუფი. 24 სექტემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „კალევი“ (ტალინი), ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ (კიევი).
25 სექტემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (კიევი), „კალევი“ (ტალინი) — ასკ (რიგა).
26 სექტემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (კიევი), „სტროიტელი“ (კიევი) — „კალევი“ (ტალინი).



306 რაოდენობა?

ვინ რამდენჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი? ასეთ სტატისტიკას, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს კლუბების ისტორიისთვის. მაგრამ იგი, ამავე დროს, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საბჭოთა კალათბურთის ლიდერთა ღირსებებზე.

ამ ცხრილში პირველ ადგილზეა ცსკა — ჩემპიონატის უძველესი კლუბი, რომელმაც საკავშირო სარბიელზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 60-იანი წლების შემდეგ.

ამჯერად ჩვენ ჩამოთვლილი გვყავს მხოლოდ საკლუბო კოლექტივები, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატებში სხვადასხვა დროს რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდებიც გამოდიოდნენ: კერძოდ, მოსკოვის, უკრაინის, ლატვიის, ურალის, საქართველოს, ესტონეთის, თბილისისა და ლიტვის წარმომადგენლები. ისინი ამ ცხრილში ცხადია არ არიან შეყვანილი.

მაშ ასე, ვნახოთ რომელი კლუბი რამდენჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი:

წელი	I	II	III	სულ	
1968	44	31	—	18	I
1969	44	31	—	18	II
1970	38	16	—	17	VII
1971	22	10	—	12	VII
1972	18	8	—	10	IV
1973	27	18	—	14	V
1974	27	10	—	17	VI
1975	36	21	—	15	IV
1976	22	10	—	12	VII
1977	39	24	—	15	III
1978	34	17	—	17	IV
1979	22	10	—	12	VII
1980	27	18	—	14	VI
1981	34	18	—	16	V
1982	34	15	—	19	X
1983	28	4	—	24	VIII
1984	22	10	—	12	IV
1985	21	6	—	15	VII
1986	21	6	—	15	VII
1987	40	22	—	18	IV

შენიშვნა: 1956, 1959, 1963, 1967 წლებში საკავშირო ჩემპიონატების ნაცვლად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, რომლებშიც რესპუბლიკების ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. ამიტომ ამ წლების შედეგები ცხრილში არ არის შეტანილი.

გასული ჩემპიონატის ფინიში

54-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა ექვეყნულში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა. 1. ცსკა — 37 თამაში, 66 ქულა, 2. „უალგირისი“ (კაუნასი) — 37 და 61, 3. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 37 და 60, 4. „დინამო“ (თბილისი) — 37 და 58, 5. „შახტიორი“ (დონეცკი) — 37 და 56; 6. ვეფ (რიგა) — 37 და 50.

მაგრამ ჩემპიონატი ამით არ დამთავრებულა. პირველი სამი პრიზიორის გამოსავლენად სუპერფინალები მატჩების სერიაში ჩატარდა: „უალგირისი“ (კაუნასი) — ცსკა 81:92, 70:67 და 93:83 (საინტერესოა აღინიშნოს, რომ კაუნასში „უალგირისი“ დამარცხდა, მოსკოვში კი ორივე შეხვედრა მოიგო).

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვედნენ თბილისის დინამოელები და ლენინგრადის „სპარტაკი“. „დინამომ“ შინ გაიმარჯვა — 78:73, სტუმრად კი ორჯერ დამარცხდა 71:87 და 78:85.



კლუბი	I	II	III	სულ
1. ცსკა	28	11	4	38
2. „უალგირისი“ (კაუნასი)	5	5	6	16
3. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)	1	7	5	18
4. „დინამო“ (თბილისი)	4	4	4	12
5. „სტროიტელი“ (კიევი)	—	6	6	12
6. „დინამო“ (მოსკოვი)	2	1	7	10
7. ასკ (რიგა)	3	2	1	6
8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	1	1	8	5
9. ოფიცერთა სახლი (თბილისი)	2	1	—	8
10. უსკ (ტარტუ)	1	1	1	8
11. „ბურევსნიკი“ (ლენინგრადი)	2	—	—	2
12. ფისკ (ლენინგრადი)	—	1	1	2
13. „ლოკომოტივი“ (თბილისი)	—	1	1	2
14. ასკ (კიევი)	—	1	1	2
15. ვეფ (რიგა)	—	—	2	2
16. „პრ. ზარია“ (ლენინგრადი)	—	1	—	1
17. „სტროიტელი“ (მოსკოვი)	—	1	—	1
18. „კალევი“ (ტალინი)	—	—	1	1
19. „სტატიბა“ (ვილნიუსი)	—	—	1	1

თბილისში ითავაზებენ

ჩემპიონატის პირველი წრის პირველ ტურს სამი ქალაქი უმასპინძლებს. შეხვედრები ჩატარდება 24-26 სექტემბერს. თბილისში იასპარეზებენ: ცსკა, „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მოსკოვი); მინსკში: „უალგირისი“ (კაუნასი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), რტი (მინსკი), ვეფ (რიგა); ლენინგრადში: „სპარტაკი“ (ლენინგრადი), ასკ (კიევი), „სტროიტელი“ (კიევი), „კალევი“ (ტალინი).

ცსკა (მოსკოვი). გუნდი დაარსდა 1924 წელს.

ომამდე არმიულ კალათბურთულ ერობში მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ. 1960 წლიდან საბჭოთა კალათბურთში ცსკას ერა იწყება — გუნდი 22-ჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. სულ კი უმაღლეს ტიტულს ცსკა 24-ჯერ ფლობდა, ოთხჯერ აქვს მოპოვებული სსრ კავშირის და ამდენჯერვე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

„დინამო“ (მოსკოვი). ჩემპიონატის ერთ-ერთი უძველესი საკალათბურთო კლუბი. დაარსდა 1923 წელს. ორჯერ — 1937 და 1948 წლებში ქვეყნის ჩემპიონი იყო, 1944 წელს — ვიკე-ჩემპიონი, 1950 წელს — საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტი. „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატის შედეგის პრიზიორია, ორჯერ — კორაჩის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა, სადაც ნახევარფინალშიც მიაღწია.

„შახტიორი“ (დონეცკი). ეს გუნდი მეორე წელს უმაღლეს ლიგაში გამოდის და როგორც ჩანს, კარგა ხნით მისი ბინადარი გახდა. ყოველ შემთხვევაში გუნდს მარშანდელი სეზონი ურიგოდ არ ჩაუტარებია. ჯერ ერთი მან სსრ კავშირის თასი მოიგო, მერე კი ჩემპიონატის ფინალისტთა ჯგუფში მოხვდა და იქ მეხუთე ადგილი დაიკავა.

